



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ ტ ი ვ ე ბ უ ლ ე ბ ა N 46 59

20/08/2015

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს 2015 წლის 6 აგვისტოს №45/211 წერილით მომართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა თეიმურაზ ჯაფარიძემ, რომელიც ითხოვს თანხმობას გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზნით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ორჯერ გამოცხადდა ტენდერი მინი სადემონსტრაციო სათბურის მოწყობაზე 2015 წლის 10 და 21 ივლისს და ორივე შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“.

მოცემულ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობა შემსყიდველ ორგანიზაციას აძლევს უფლებას გადაუდებელი აუცილებლობისას ანუ ისეთი ვითარების არსებობისას, რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით გამოიყენოს გამარტივებული შესყიდვის საშუალება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 6 აგვისტოს №45/211 წერილის საფუძველზე, საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს გამარტივებული შესყიდვა მინი სადემონსტრაციო სათბურის მოწყობაზე.

მუხლი 2.

დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სოფიო ბუსკივაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო